საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№32/17

01 აგვისტო 2017 წ.

შპს ,,მობილია”-ს დირექტორს
ბატონ ზურაბ ჩალაძეს

ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა თბილისში, სოფ. დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.72.14.034.653) მშენებარე კომერციული დანიშნულების შენობა. კვლევის მიზანი იყო ნაგებობის უკანა ფასადის მოსაზღვრე კლდოვანი მასივისათვის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დაცვის ღონისძიების შემუშავება.

საკვლევი შენობის რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, დაფუძნებული წერტილოვან საძირკვლებზე მიმდებარე მასივის ზონაში ღერძი ,,1” გასწვრივ (იხ.გეგმა) ნიშნულებს შორის -4,28 მ. და 8,82 მ. შევსებულია რკინაბეტონის კედლებით. მოცემული ,,1”ღერძის ზონაში ნაგებობის გარეთ მოწყობილია სადრენაჟე მილი დიამეტრით 300მმ. ხოლო სივრცე კედელსა და კლდოვან მასივს შორის შევსებულია ღორღით, რომელიც შემოკირწყლულია ბეტონით ნიშნულამდე - 0,90 მ.

კლდოვანი მასივი წარმოდგენილია ქვიშაქვევის და სუბარგილიტების შრეების მორიგეობით. მომავალში მისი ატმოსფერული ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სივრცე გრუნტის მასივსა და შენობას შორის ღერძიდან ,,ა” ღერძამდე ,,დ” (იხ. გეგმა) შეივსოს ბალასტით ნიშნულამდე 8,90 მ.

ამ ღონისძიების განსახორციელებლად, უკანა ფასადის კედლის მართობულად ორ ადგილას, ღერძებთან ,,ა” და ,,დ” უნდა მოეწყოს რკინაბეტონის შემომზღუდავი კონსტრუქცია. ამისათვის, არსებული რკინაბეტონის კარკასის შესაბამის ,,ა” და ,,დ” ღერძებზე განლაგებულ თითოეულ სვეტში ცემენტ-ემულსიის ხსნარის გამოყენებით წყვილ-წყვილად უნდა ჩაანკერდეს არმატურის ღეროები. მათი ბიჯი 300 მმ.-ია. ანკერების ვერტიკალური მიმართულებით მოსაწყობი არმატურის ღეროების მინიმალური ბიჯი 250 მმ. ამრიგად, თითოეული ე.წ. შემომზღუდავი რკინაბეტონის კონსტრუქციის არმატურის კარკასი წარმოდგენილი იქნება ორ-ორი პარალელური ბადით. გამოსაყენებელი არმატურის დიამეტრია 12მმ.

აღსანიშნავია რომ ,,ა” ღერძთან მოსაწყობი კონსტრუქციის საქარგილე ზომა განხვავებულია ,,დ” ღერძთან მოსაწყობი კონსტრუქციის ზომასთან შედარებით. ეს გამოწვეულია კლდოვანი ფერდის სხვადასხვა დაშორებით ,,1” ღერძის გასწვრივ მდებარე კედლის გარე სიბრტყიდან. კერძოდ, ,,ა” ღერძის გასწვრივ მანძილი კლდოვან მასივამდე ნიშნულზე 8,9მ. არის 0,95მ. ,,დ” ღერძის გასწვრივ - 1,40მ. იმის გათვალისწინებით, რომ ორი ზომა - სიმაღლე და სისქე კონსტრუქციებისათვის იდენტურია, ,,ა” ღერძთან მოსაწყობი რკონაბეტონის კონსტრუქციის გაბარიტული ზომა იქნება 30სმ X 95სმ X 980სმ, ხოლო ,,დ” ღერძთან მოსაწყობისა 30სმ X 140სმ X 980სმ.

ნიშნულამდე 8,90 მ. ბალასტის შევსების შემდეგ უნდა მოეწყოს ბეტონის შემონაკირწყლი სისქით 10 სმ. ,,ა" ღერძიდან 2% ქანობით ,,ბ" ღერძამდე. ,,ბ" ღერძთან მდებარე კონსტრუქციის ფარგლებში ქანობის მიმართულებით ეწყობა 0,5 მ. კონსოლური ნაშვერი რკინაბეტონისაგან სისქით 15 სმ , რომელზეც მაგრდება 300 მმ. დიამეტრის წყალსაწრეტი მილი ატმოსფერული ნალექების მისაღებად.

უკანა ფასადის კედლის ჰიდროსაიზოლაციო ღონისძიების მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ მისი დამუშავება კალმატრონის ან პენეტრონის ნარევით ქვიშა - ცემენტის ხსნართან კედლის ფართის იმ ნაწილზე სადაც ხორციელდება ბალასტით შევსება. ეს ღონისძიება წინ უნდა უსწრებდეს ყველა განსახორციელებელ სამუშაოს.

ზემოაღწერილ სამუშაოთა ხარისხიანი შესრულების შემთხვევაში შენობის უსაფრთხო მუშაობა უზრუნველყოფილი იქნება მისი ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

შპს ,,მონოლითი"-ს
დირექტორი /გ.იაშვილი/

მთ. ინჟინერი /მ.საველიძე/